სსიპ - კოლეჯი
„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2021-2022 წლის
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი, 2022 წელი

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კოლეჯის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. სტრატეგიის შემუშავება განპირობებულია კოლეჯის პროფესიული განათლების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობით, რათა გაძლიერდეს კოლეჯში დაწყებული ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება. სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვანია კოლეჯის საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს პედაგოგიური და ადმინისტრაციული რესურსის გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას. სამოქმედო გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების ერთწლიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2021-2022 სასწავლო წლის პერიოდში.

2021-2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების მოქმედებათა გეგმა შემუშავდა გუნდურად, აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, კვლევების/პროგნოზების, წინა წლი(ებ)ის სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგების, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით და სხვა აპრობირებული მეთოდოლოგიით.

2021-2022 წლების სამოქმედო გეგმით გაიწერა დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ცალკეული ღონისძიებები განხორციელდა.

2021-2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სამოქმედო გეგმის შესრულება ასევე საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს გაუზიაროს ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.

ვინაიდან კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრითა და პრიორიტეტების გამოკვეთით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის მიერ შეფასებულ და გაანალიზებულ იქნა 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება, რომლის შედეგებსაც ეფუძნება 2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიული მიზანი I - შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული, ასევე ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება:

- **ამოცანა - შრომის ბაზრის მოკვლევა.**
  - ✓ **აქტივობა** - სახელმწიფო და კერძო სექტორის გამოკითხვა.

კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში ატარებს ყოველწლიურად ატარებს პარტნიორი კომპანიების გამოკითხვას. 2022 წლის ივნის-ივლისის პერიოდში ჩატარდა პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აღინიშნავია, რომ კვლევაში მონაწილეობა შედარებით ნაკლებმა პარტნიორმა კომპანიამ მიიღო.

  - ❖ **შედეგი: ნაწილობრივ შესრულდა.**

  - ✓ **აქტივობა** - კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.

კოლეჯი მუდმივად ატარებს გამოკითხვას კურსდამთავრებულთა დასაქმების თაობაზე. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, პროგრამის დასრულებიდან 6 თვის ვადაში, ირკვევა კურსდამთავრებულის დასაქმების სტატუსი, არის თუ არა ის დასაქმებული, საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებულია დასაქმების სფერო, შესაბამისად კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მუდმივად ხორციელდება.

  - ❖ **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა - პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება**
  - ✓ **აქტივობა** - სახელმწიფო, კერძო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და პროგრამების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემა.

კოლეჯმა შეიმუშავა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების საბჭოს გადაწყვეტილებით მოიპოვა შემდეგი პროგრამების განხორციელების უფლება:

1. „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირების“ პროფესიული მომზადების პროგრამა - 24.01.2022;
2. „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაციის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - 07/02/2022;
3. „ხიდურა ამწის ოპერირების“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - 07/02/2022;
4. „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენის“ პროფესიული მომზადების პროგრამა - 08/04/2022.

   „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაციის“ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლა 2022 წლის 18 მაისს დაიწყო და 17 ივნისს დამთავრდა, ხოლო პროფესიული მომზადების პროგრამა „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირების“ ისევ გრძელდება.

  - ❖ **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა - მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების განხორციელება.**
  - ✓ **აქტივობა** - სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და პროგრამების ფარგლებში მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოებთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში კოლეჯმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი“ 2021 წელს განახორციელა 8 პროგრამა. აღნიშნული პროგრამებია:

- ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- კომპიუტერული გრაფიკოსი (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება);
- კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი;
- მსუბუქი ავტომობილის დიაგნოსტირება;
- სალაროს ოპერაციების განხორციელება;
- სალაროს ოპერაციების განხორციელებისას საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა, და მათი დამცავი ნიშნების ამოცნობა;
- ტანსაცმლის დიზაინი და კერვა.

ამ პროგრამებზე რეგისტრაცია გაიარა 394-მა აპლიკანტმა, თითოეულ პროგრამაზე მისაღები რაოდენობა იყო 15 მსმენელი. 2022 წლის თებერვალში სწავლა-სწავლება დაიწყო პროგრამაზე „კომპიუტერული გრაფიკოსი (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება) მარტში კი დაიწყო პროგრამის „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“ განხორციელება.

2022 წლის 18 მაისს კოლეჯმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში რეგისტრაცია გამოაცხადა შემდეგ მოკლევადიან ტრენინგ-კურსებზე:

- „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“
- „ამზომველ-ტოპოგრაფი (აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“
- „ინფორმაციის ტექნოლოგია“
- „კომპიუტერული გრაფიკოსი (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება)“
- „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი“
- „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა“
- „სალაროს ოპერაციების განხორციელება“
- „მსუბუქი ავტომობილის ძრავას დიაგნოსტირება“
- „ვებპროგრამირება-FRONT“
- „მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი“
- „სოციალური მედიის მართვა“

პროგრამებზე რეგისტრაცია გაიარა 404-მე აპლიკანტმა. სწავლა დაიწყო 6 ივნისიდან და დასრულდა 1 აგვისტოს.

❖ **შედეგი: შესრულდა.**

➢ **ამოცანა - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების პროგრამის განხორციელება.**

✓ **აქტივობა** - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება, პროგრამის განხორციელება და მონიტორინგი.

კოლეჯი ახორციელებს 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ესენია: „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „ვებტექნოლოგიები“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“. პროგრამების შემუშავებაში ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. კოლეჯში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველსაყოფის მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც შექმნილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი“. ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები არიან ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი და დარგის სპეციალისტი/ პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი. მონიტორინგის ჯგუფი რანდომული პრინციპით ახორციელებს მონიტორინგს, ესწრება მეცადინეობებს, აანალიზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აცნობს იმ მასწავლებლებს, რომელთა მეცადინეობასაც დაესწრო ჯგუფი. სასწავლო პროცესის მენეჯერი გეგმავს

სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ადგენს ცხრილებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად, ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებლების კალენდარული გეგმების მონიტორინგს, ხელმძღვანელობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესს. სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი მონიტორინგს უწევს მეცადინეობებს ცხრილის მიხედვით მიმდინარეობას, იბარებს და აღრიცხავს შედეგების დადასტურების ამსახველ შეფასების ინსტრუმენტებსა და მტკიცებულებებს.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში შემუშავებული პროგრამების განხორციელება.**
  - ✓ **აქტივობა** - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების ფარგლებში, 2021 წელი დისტანციური სამუშაო რეჟიმით დაიწყო. მნიშვნელოვანი შეხვედრები და ღონისძიებები ონლაინ ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში შემუშავებული პროგრამები ვერ განხორციელდა, თუმცა, სკოლებთან გაიმართა მოლაპარაკება 2022 წლის შემოდგომიდან აღნიშნული პროგრამის ამოქმედების თაობაზე.

- **შედეგი: ვერ შესრულდა.**

- **ამოცანა - არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების (მათ შორის, დუალური) განვითარება/დანერგვა, კონკრეტული პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდა.**
  - ✓ **აქტივობა** - არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი.

  კოლეჯი ამ ეტაპზე ახორციელებს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს:

1. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმით);
2. საოფისე საქმე;
3. საფინანსო სერვისები;
4. ბუღალტრული აღრიცხვა;
5. ვებპროგრამისტი (მილევადი);
6. ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური და დუალური);
7. აზომვით ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება (არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმით);
8. სამკერვალო წარმოება;
9. გრაფიკული დიზაინის შესრულება (არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმით);
10. ინდუსტრიული დიზაინის შესრულება;
11. ვებტექნოლოგიები (არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმით);
12. მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება;
13. მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება;
14. მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამკერვალო წარმოება“ სწავლის მსურველთა მზარდი რაოდენობიდან გამომდინარე, იგეგმება ამ პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდას. კოლეჯმა პროგრამის სათანადო აღჭურვილობის შეძენის მიზნით, უკვე მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.

კოლეჯში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველსაყოფის მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც შექმნილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი“. ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები არიან ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი,

სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი და დარგის სპეციალისტი/პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი. მონიტორინგის ჯგუფი რანდომული პრინციპით ახორციელებს მონიტორინგს, ესწრება მეცადინეობებს, აანალიზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აცნობს იმ მასწავლებლებს, რომელთა მეცადიენობასაც დაესწრო ჯგუფი. სასწავლო პროცესის მენეჯერი გეგმავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ადგენს ცხრილებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად, ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებლების კალენდარული გეგმების მონიტორინგს, ხელმძღვანელობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესს. სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი მონიტორინგს უწევს მეცადინეობებს ცხრილის მიხედვით მიმდინარეობას, იბარებს და აღრიცხავს შედეგების დადასტურების ამსახველ შეფასების ინსტრუმენტებსა და მტკიცებულებებს.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროგრამაზე კოლეჯს შემუშავებული აქვს 2 სასწავლო გეგმა (მოდულური და დუალური). დუალური მიდგომის ჯგუფი 2021 წლის შემოდგომაზე ვერ გაიხსნა, რადგან აპლიკანტებმა (ერთის გარდა) ვერ გადალახეს საკონკურსო პირობებით დადგენილი ზღვარი.

- **შედეგი: შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი II - ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა:

- **ამოცანა** - კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებათა ანალიზი.
  - ✓ **აქტივობა** - ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა.

- **ამოცანა** - კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებათა ანალიზი.
  - ✓ **აქტივობა** - ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა და ანალიზი.

2022 წლის მაის-ივნისის პერიოდში ჩატარდა ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულების ხარისხის იდენტიფიცირება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციული პერსონალის 11 წარმომადგენელმა. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაანალიზდა კვლევის შედეგები და შემდგომი რეაგირების მიზნით, გაუზიარდა კოლეჯის დირექტორს. გარდა ამისა, ჩატარდა ადმინისტრაციის წევრების საჭიროებების კვლევა.

- **შედეგი: შესრულდა.**

  - ✓ **აქტივობა** - პრფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა და ანალიზი.

2022 წლის ივნის-ივლისის პერიოდში მიმდინარეობს პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა როგორც მათი საჭიროებების გამოვლენის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულების ხარისხის იდენტიფიცირების მიზნით. გარდა ამისა, ჩატარდა ადმინისტრაციის წევრების საჭიროებების კვლევა, გაანალიზდა კვლევის შედეგები და დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები.

- **შედეგი: შესრულდა.**

  - ✓ **აქტივობა** - პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა და ანალიზი.

2022 წლის მაის-ივნისის პერიოდში ჩატარდა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულების ხარისხის იდენტიფიცირება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 94 პროფესიულმა სტუდენტმა. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაანალიზდა კვლევის შედეგები და შემდგომი რეაგირების მიზნით, გაუზიარდა კოლეჯის დირექტორს.

- **შედეგი: შესრულდა.**

- ✓ **აქტივობა** – პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მსმენელთა გამოკითხვა და ანალიზი.

2022 წლის მარტი-აპრილის პერიოდში ჩატარდა პროფესიული მომზადების პროგრამის, „სოციალური მედია“ ხოლო ივნისი-ივლისი პერიოდში „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლოატაციის“ მსმენელებისა და განმახორციელებელი პირების გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო პროგრამის მიმდინარეობისა და ადმინისტრირების ხარისხის იდენტიფიცირება. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაანალიზდა კვლევის შედეგები და შემდგომი რეაგირების მიზნით, გაუზიარდა კოლეჯის დირექტორს. კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს დაავალა ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციების შერულების მონიტორინგი.

- ❖ **შედეგი: შესრულდა.**

- ➢ **ამოცანა** – პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
  - ✓ **აქტივობა** – ტრენინგის დაგეგმვა/სერტიფიცირება.

პროფესიული განვითარების მიზნით კოლეჯი აქტიურად ერთვება პერსონალის ტრენინგებისა და მასტერკლასების პროცესში, კერძოდ:

- სსიპ - განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით, მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა და იურისტმა.
- სსიპ - განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტთან (ადამიანური რესურსები) შესაბამისობის ტრენინგი, მონაწილეობა მიიღო კოლეჯის იურისტმა.
- კოლეჯში ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგები შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით.

- ❖ **შედეგი: შესრულდა.**

- ➢ **ამოცანა** – პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კონფერენცია/ღია ლექციების ორგანიზება.
  - ✓ **აქტივობა** – კონფერენცია/საჯარო ლექციების დაგეგმვა და ჩატარება.

2021-2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი საჯარო/ღია ლექციები:

1. ოქტომბერი - „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ცირა მენთეშაშვილმა და 192-193-ე ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა ჩაატარეს ღია ლექცია თემაზე „ფინანსური და საგადასახადო ანგარიშების მომზადება“;
2. ოქტომბერი - „საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა გიული გურგენიძემ და 218-ე ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა გამართეს ლექცია-კონფერენცია თემაზე „სალარო ოპერაციების განხორციელება სფინანსო და სავაჭრო ორგანიოზაციებში“;
3. ნოემბერი - „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ზვიად მამნიაშვილმა და 212-ე ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა გამართეს ღია ლექცია მოდულში „პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“;
4. დეკემბერი - „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლეილა გიორგობიანმა და 216-ე ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს ღია ლექცია მოდულში „საწარმოო პრაქტიკა-საოფისე საქმე“;
5. იანვარი - „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა აკაკი ფეიქრიშვილმა გამართა ღია ლექცია თემაზე „უკაბელო და საკაბელო ქსელის გამართვა, ქსელური მოწყობილობების ინსტალაცია/კონფიგურაცია“;
6. თებერვალი - „გრაფიკული დიზაინის შესრულებისა“ და „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული განათლების მასწავლებელმა გურამ დავითლიძემ,

წიგნის ხმამაღლა წაკითხვის დღესთან დაკავშირებით, აღნიშნული პროგრამების პროფესიულ სტუდენტებთან ჩაატარა ღია ლექცია თემაზე „რატომ უნდა წავიკითხო წიგნი“:

7. მაისი - „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ცირა მენთეშაშვილმა გამართა ღია ლექცია მოდულში „პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება“;
8. ივლისი - „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულინ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ზვიად მამნიაშვილმა გამართა ღია ლექცია თემაზე „მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემების ინსტალაცია“.

❖ **შედეგი: ნაწილობრივ შესრულდა.**

➢ **ამოცანა - ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა.**

✓ **აქტივობა** - სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების განხორციელება და პროფესიული სტუდენტებისთვის უახლესი ტექნოლოგიების შეთავაზება, კოლეჯის თანამედროვე ტექნიკური რესურსით აღჭურვა.

კოლეჯი ღიაა და სრულ მზადყოფნას გამოხატავს სასწავლო პროცესში ახალი, ინოვაციური მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებით. კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების შემავალ მოდულებში ასახულია ჩანაწერები სწვლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაწესებულებაში დაინერგა დისტანციური სწავლება. კოლეჯი აღჭურვილია მოდულების სწავლის შედეგებით გათვალისწინებული თანამედროვე მატერიალური რესურსითა და მასალა-ნედლეულით. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციამ სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის მიზნით, კოლეჯს საჩუქრად გადასცა ე.წ. „ჭკვიანი დაფა“ და სმარტტელევიზორი, რომელსაც პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად იენებენ სწავლების პროცესში. “მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“, “მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთებისა“ და “მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კოლეჯმა ააშენა და უახლესი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა ავტოსახელოსნო, სადაც პროფესიული სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები. ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები მეცადინეობას ატარებენ ახალი სკოლის მოდელის მიხედვით, სტუდენტებს ასრულებინებენ კომპლექსურ დავალებებს.

❖ **შედეგი: შესრულდა.**

➢ **ამოცანა** - სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება.

✓ **აქტივობა** - შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფარგლებში კოლეჯში შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი. მონიტორინგის ჯგუფი შერჩევის პრინციპით ახორციელებს მონიტორინგს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ ჯგუფში, ესწრება მეცადიენობისა და შედეგების დადასტურების პროცესს. დასწრების შედეგად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მონიტორინგის ჯგუფის წევრები და პროფესიული განათლების ის მასწავლებლები, რომელთანაც მოხდა დასწრება, მაშასადამე შექმნილია მექანიზმი, როცა მასწავლებელი ეცნობა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოვლენილ გარემოებებსა და რეკომენდაციებს.

❖ **შედეგი: შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი IV - კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა:

➢ **ამოცანა** - განთესვის მაჩვენებლის მინიმალიზება.

- ✓ **აქტივობა** – მიზეზების კვლევა.

კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდის მიზნით განთესვის მაჩვენებლის მინიმუმამდე დაყვანა აუცილებელი პირობაა კოლეჯის განვითარებისათვის. კოლეჯში არსებული სასწავლო პრცესის მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს უწყდება სტატუსი, თუ იგი არასაპატიოდ გააცდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების 1/3. სამწუხაროდ, პროფესიული სტუდენტების უმრავლესობას სწორედ ამ მიზეზით უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, ხშირია შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტები პარალელურად უმაღლეს სასწავლებელშიც სწავლობენ და ვერ ათავსებენ პარალელურ რეჟიმში სწავლას ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კოვიდპანდემიამ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი დაწესებულების მიერ განთესვის მაჩვენებლის მინიმალიზების ვერ შესრულებას.

- ❖ **შედეგი: ვერ შესრულდა.**

➢ **ამოცანა** – თანამშრომლობის განვითარება კოლეჯებთან და დამსაქმებლებთან.

- ✓ **აქტივობა** – საწარმოო ობიექტის მოკვლევა და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების წარმოება. დამსაქმებლებთან დაკავშირება და მათი დაინტერესება.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო ბიზნესთან, რათა შრომის ბაზარზე სასწავლებლის კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ და სსსმ სტუდენტები წარმატებული იყვნენ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯის მიერ ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად. სპეციალობებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროს კომპანიებთან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში, ასევე, პროგრამაში ცვლილების შეტანისას.

ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა პარტნიორ დაწესებულებებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის აგვისტომდე პერიოდში გამოქვეყნდა შემდეგი კომპანიის ვაკანსიები: შპს „ტრანსპორტერი“, „ელიტ-ელექტრონიქსი“, ატელია „შავდია“, „გალფი“, „ნიკორა“, „ამბოლი“, „აგროჰაბი“, „გრინვეი“, „გუდვილი“, ჰიპერმარკეტი „იქსთრიმი“, „BOLDI”, “iPlus”, „ლიბერთი ბანკი“, „სმარტი“, „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“, „კარფური“, „ბოლსერო“, „ჩემი ოფისი“, აუდიტორული კომპანია „Moore”, „პრაიმ ბეტონი“, კომპანია „ელთიბი“, ჯი თი მოტორსი, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“, „inexPHONE", ორი ნაბიჯი“, „მოვი“, „ლუმენი“, „მკერავი“, „ქარი“, „თიბისი ფეი“, არომაპროდუქტი/Georgia’s Natural, „გორგია“, „არგო“ და სხვა.

2022 წლის 6 ივნისს ჯი-თი მოტორსმა კოლეჯს სასწავლო მიზნებისთვის გადმოსცა ავტონაწილები.

პროფესიული კოლეჯების სტუდენტებს სჭირდებათ კომპანიების მხრიდან მეტი მხარდაჭერა, რათა საწყისი ეტაპიდანვე ჰქონდეთ მეტი პრაქტიკული შეხება სამომავლო საქმიანობასთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

- ❖ **შედეგი: შესრულდა.**

➢ **ამოცანა** საწარმოო/გაცნობითი პრაქტიკისთვის/პრაქტიკული პროექტისთვის მემორანდუმების გაფორმება.

სპეციალობებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროს კომპანიებთან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში.

- ❖ **შედეგი: შესრულდა**

- **ამოცანა** – არაფორმალური პროფესიული განათლების მექანიზმის ამოქმედება.
  - ✓ **აქტივობა** – არაფორმალური განათლების მქონე პირების გამოკითხვა არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე;
  - ✓ **აქტივობა** – გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების გაზიარება სახელმწიფო/ კერძო სტრუქტურებთან.

კოლეჯში არაფორმალური განათლების მექანიზმი არ ამოქმედებულა. მიუხედავად ამისა, კოლეჯის ერთი თანამშრომელი სსიპ - განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებულია, როგორც არაფორმალური განათლების ექსპერტი, შესაბამისად სამომავლოდ არსებობს წინაპირობა კოლეჯში ამ მექანიზმის დასანერგად.

- ❖ **შედეგი: ვერ შესრულდა.**

- **ამოცანა** – პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში
  - ✓ **აქტივობა** – პროფესიული სტუდენტების ინტერესების კვლევა.
  - ✓ **აქტივობა** - კვლევის შედეგების გათვალისწინებით, აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება.

კოლეჯი მუდმივად ახორციელებს ანონიმურ კვლევას სტუდენტებში მათი სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ასევე, პროფორიენტაციის ფარგლებში, რიგი ღონისძიებები იგეგმება სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე. მათი ინტერესების გათვალისწინება ხდება როგორც კოლეჯის ოფიციალურ მეილზე შემოსული შეტყობინებების, ისე სოციალურ ქსელის უკუკავშირისა და მატერიალური სახით შემოსული განცხადებების საფუძველზე. მაგალითად, 15 ივლისს „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული პროგრამის სტუდენტის განცხადების საფუძველზე ჩატარდა ფეხბურთის შიდა ტურნირი. ასევე, სტუდენტების მოთხოვნით, კოლეჯი ჩაერთო ეკოტრანსპორტის პოპულარიზაციაში, რა მიზნითაც 11 ივლისს კოლეჯის ტერიტორიაზე ველორბოლა მოეწყო, აქვე ჩამოყალიბდა ველოკლუბი, რომელშიც გაერთიანდნენ სტუდენტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ფარგლებში, დაწესებულება მუდმივად უზრუნველყოფს სხვადასხვა სპორტული და კულტურული აქტივობების ჩატარებას სტუდენტების ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

- ❖ **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა** – პროფორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება.
  - ✓ **აქტივობა** - ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/“ღია კარის“ დღეების /ვირტუალური ტურების ორგანიზება კოლეჯში.

პროფორიენტაციის ფარგლებში, გლდანის კოლეჯს ქ. თბილისის N71 საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ, მათ დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გაეცნენ კოლეჯში არსებულ პროფესიულ პროგრამებს. 3-წლიანი იძულებითი შეზღუდვების შემდეგ, კოლეჯი მზადაა უმასპინძლოს სკოლებს რეალურ სასწავლო გარემოში და აღადგინოს ექსკურსიების ტრადიცია წინასარეგისტრაციო პერიოდში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრთან“ ერთად ახორციელებს მასშტაბურ პროექტს, რომლის ფარგლებშიც თბილისისა და რეგიონების კრიზისულ ცენტრებში მყოფი ბავშვებისა და მოზარდების საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებასთან ადაპტირებისა და ინტეგრაციის საკითხებზე მუშაობს. პროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მათთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების მოძიება და გაცნობა, დახმარება ერთი საგანმანათლებლო საფეხურიდან მეორეზე ტრანზაციის პროცესში. პროფორიენტაციის ფარგლებში 11 მაისს კოლეჯს „ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის“ მონაწილე ბავშვები ესტუმრნენ და კოლეჯის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს. ისინი გაეცნენ არსებულ პროფესიულ პროგრამებს. ვიზიტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მათი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მხარდაჭერა.

2022 წლის 25 მაისს პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით, კოლეჯთან ერთად, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, მოეწყო სსიპ - ქალაქ თბილისის N69 საჯარო

სკოლაში ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც, დაინტერესებულ მოსწავლეებს გაეწიათ კონსულტაცია რეგისტრაციის პროცედურების თაობაზე და ჩაუტარდათ პრეზენტაცია უნარების სააგენტოსა და კოლეჯის საქმიანობის შესახებ.

2022 წლის 8 ივნისს კოლეჯმა უმასპინძლა სკოლა „ოპიზარს“, რომლის ფარგლებშიც, სკოლის მოსწავლეები გაეცნენ კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს, მათ მიეცათ საშუალება გარკვეული სპეციალობები თავად მოესინჯათ.

თბილისის ურბანული პროგრამის სასკოლო ახალგაზრდული კლუბები პროფესიული განათლების პროექტის ფარგლებში, 2022 წლის 23 ივლისს, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ კოლეჯში. მონაწილეები ადგილზე გაეცნენ კოლეჯში არსებულ შემდეგ სასწავლო პროგრამებს, მოინახულეს თითოეული პროგრამის სასწავლო სივრცე და გამოსცადეს სხვადასხვა სახის ტექნიკა, ასევე მიიღეს ინფორმაცია მოდულური, ინტეგრირებული და სასერტიფიკატო პროგრამების შესახებ.

- **შედეგი შესრულდა.**

- ✓ **აქტივობა** - ვებგვერდი/სოციალური ქსელებით რეკლამის წარმოება.

პროფორიენტაციის ღონისძიებები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის როგორც ოფიციალური ვებ-გვერდის, ისე სოციალური ქსელის საშუალებით, ასევე, საჯაროდ ვრცელდება სარეკლამო ბროშურები, რაც ხელს უწყობს ინფორმირებას ნებისმიერ აქტივობასთან დაკავშირებით.

კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით, GIZ-ისთან თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა საიმიჯო ვიდეორგოლის გადაღება ერთ-ერთ წარმატებულ სტუდენტზე, რომელიც განთავსდა კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე.

გაზეთ „ახალი განათლების“ ახალ რუბრიკაში - პროფესიული სტუდენტი, დაიბეჭდა კოლეჯის წარმატებული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია, რაც გაზიარდა კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, ასევე, ონლაინ და მატერიალური სახით გამოიცა გაზეთი.

კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით, შეიქმნა რეგისტრაციებთან დაკავშირებით სპეციალური ვიდეორგოლი კოლეჯის ადამიანური რესურსის გამოყენებით და გამოქვეყნდა საჯაროდ.

მუდმივად ახლდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი და იბეჭდება საინფორმაციო ბროშურები კოლეჯში გამოცხადებული პროგრამების შესახებ. ბუკლეტები წარმოდგენილია ყველა საინფორმაციო შეხვედრაზე, ფესტივალებზე, ვრცელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებზე.

- **შედეგი შესრულდა.**

- ✓ **აქტივობა** - პროფესიული განათლების ფესტივალების ორგანიზება/ მონაწილეობის მიღება.

2022 წლის 10 დეკემბერს კოლეჯის დირექტორის ინიციატივითა და ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა პროფესიული სტუდენტების ნახატების გამოფენა, რამაც დადებითი განწყობა შექმნა ყველასათვის რთულ პერიოდში. აღნიშნული გამოფენა დიდი სტიმული იყო სტუდენტების ნიჭის ფართოდ გამოსავლენად.

2021 წლის 21 დეკემბერს ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ზამთრის სეზონი გაიმართა. შემეცნებით ღონისძიებაში მონაწილეობდა პროფესიული სტუდენტებით დაკომპლექტებული გუნდები. ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ფარგლებში, დაწესებულება მომავალშიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სპორტული და კულტურული აქტივობების ჩატარებას სტუდენტების ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

2021 წლის 24 დეკემბერს კოლეჯში სტუდენტთა ინიციატივითა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით გრაფიკული დიზაინის და ინდუსტრიული დიზაინის პროფესიული პროგრამების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

საახალწლოდ კოლეჯმა გამოაცხადა მისალოცი ბარათების კონკურსი, რომლის მიზანი იყო ორიგინალური მისალოცი ბარათის შექმნა. კონკურსის გამარჯვებული სოციალურ ქსელში ყველაზე მეტი მოწონების მიხედვით გამოვლინდა. მსგავსი კონკურსები ჩატარდა დედის დღესთან, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან და წიგნის ჩუქების დღესთან დაკავშირებითაც.

2022 წლის 14 აპრილს, კოლეჯში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და კალიგრაფიის კონკურსი გაიმართა. აღნიშნული კონკურსი მიზნად ისახავდა ქართული ენის მნიშვნელობის ხაზგასმას და სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებას. კონკურსის ფარგლებში სპეციალურად შერჩეულმა ჟიურმა რამდენიმე გამარჯვებული გამოავლინა, რომელთაც სერთიფიკატები გადაეცათ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალციხეში წარმოადგინა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა რამდენიმე პროფესიული სასწავლებლის ჩართულობით. კოლეჯმა წარმოადგინა სტუდენტების ნამუშევრები, გაიმართა პრეზენტაციები და მასტერკლასები.

2022 წლის 10 მაისს გაიმართა კოლეჯში აქცია, რომლის მიზანი იყო რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გამო უკრაინელი ხალხის თანადგომა. სისხლის დონორობის აქციაში მონაწილეობა მიიღეს დაწესებულების დირექტორმა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა. მათი მოტივაცია სიცოცხლის გადარჩენა იყო. კოლეჯი სოლიდარობას უცხადებს უკრაინას და განახორციელა საქველმოქმედო აქცია უკრაინელი ხალხის დასახმარებლად. შეგროვდა და უკრაინაში გაიგზავნა მედიკამენტები, თბილი ტანსაცმელი, მშრალი საკვები და სხვა საჭირო ნივთები.

26 ივნისს მსოფლიო ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის დღეს აღნიშნავს, ამასთან დაკავშირებით კოლეჯის ინიციატივით მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდნენ ფსიქიატრიული ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ნარკოლოგი - გვანცა ფირალიშვილი და ფსიქოლოგი - სოფო მოსია. შეხვედრას თემაზე „ზრუნვა კრიზისის დროს" ესწრებოდნენ როგორც კოლეჯის სტუდენტები, ისე პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მსგავსი აქტივობები ემსახურება ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას, რაც ნარკომანიასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ პრევენციულ ღონისძიებას წარმოადგენს.

2022 წლის 20 ივლისს, ჭადრაკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კოლეჯში ჭადრაკისა და შაშის შიდა ტურნირი გაიმართა. პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და მოხალისე სტუმრებმა.

- **შედეგი შესრულდა.**

- **ამოცანა** – კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა.
  - **აქტივობა** – ვაკანსიების მოძიება, კურსდამთავრებულთა ინფორმირება და რეკომენდაციის გაცემა.

კოლეჯისა და სხვადასხვა ორგანიზაციების პარტნიორობის ფარგლებში, დაწესებულების ოფიციალურ ელფოსტაზე მუდმივად იგზავნება ვაკანსიები, რომელიც გვექყნდება სპეციალურად შექმნილ ფეისბუქ გვერდზე: გლდანის კოლეჯის სტუდენტთა კარიერის დაგეგმვა. ამასთან, კონკრეტულ ვაკანსიებზე მასწავლებლების რეკომენდაციით ხდება კურსდამთავრებულთან დაკავშირება და დასაქმების ხელშეწყობა.

- **შედეგი შესრულდა.**

- **ამოცანა** – საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საზღვარგარეთის კოლეჯებთან თანამშრომლობის გამოცდილების გაზიარება და გაცვლითი პროგრამების ორგანიზება.
  - **აქტივობა** – გაცვლითი პროგრამების დანერგვის საჭიროების კვლევა.
  - **აქტივობა** - საზღვარგარეთის კოლეჯებთან კონტაქტის დამყარება/თანამშრომლობა.
  - **აქტივობა** - გაცვლითი პროგრამების ორგანიზება.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზციასთან. ჩვენი კოლეჯი ჩართული იყო პროფესიული მომზადების პროგრამის, „სოციალური მედიის მართვა" შემუშავების პროცესში. პროგრამა შემუშავდა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, PMC კვლევითი ცენტრის, ტალინის ეკონომიკური სკოლის, მარკეტინგული სააგენტო GINGERS-ის და სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" თანამშრომლობით. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) კოლეჯს საჩუქრად გადმოსცა თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობა. კოლეჯის დირექტორი ამ დაწესებულების ორგანიზებით ეწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკას და მოინახულა სხვადასხვა პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულება და საგანმანათლებლო პროცესში ჩართული საწარმო-დაწესებულებები. ამ ეტაპზე გაცვლითი პროგრამების საჭიროებების კვლევა და გაცვლითი პროგრამების ორგანიზება არ განხორციელებულა.

- **შედეგი: ნაწილობრივ შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი VII - სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა:

- **ამოცანა** - საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საზღვარგარეთის კოლეჯებთან თანამშრომლობის გამოცდილების გაზიარება და გაცვლითი პროგრამების ორგანიზება.

კოლეჯმა აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებს უმასპინძლა. ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები გაეცნენ დაწესებულების მისიას, პროგრამებს, სასწავლო პროცესს. მოინახულეს აუდიტორიები და სახელოსნოები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და სტუდენტებს. მისიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ პროფესიული განათლების სისტემითა და სამოქმედო გეგმით. მათ წარმატებები უსურვეს კოლეჯს და გამოთქვეს მზაობა პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროცესში.

- **შედეგი შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი IV - კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა:

- **ამოცანა** - განთესვის მაჩვენებლის მინიმალიზება.
  - ✓ **აქტივობა** - მიზეზების კვლევა.

კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდის მიზნით განთესვის მაჩვენებლის მინიმუმამდე დაყვანა აუცილებელი პირობაა კოლეჯის განვითარებისათვის. კოლეჯში არსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს უწყდება სტატუსი, თუ იგი არასაპატიოდ გააცდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების 1/3. სამწუხაროდ, პროფესიული სტუდენტების უმრავლესობას სწორედ ამ მიზეზით უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, ხშირია შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტები პარალელურად უმაღლეს სასწავლებელშიც სწავლობენ და ვერ ათავსებენ პარალელურ რეჟიმში სწავლას 2 საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კოვიდპანდემიამ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი დაწესებულების მიერ განთესვის მაჩვენებლის მინიმალიზების ვერ შესრულებას.

- **შედეგი: ვერ შესრულდა.**